ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

#48 (10086) •8 dekemberi • 2014 w.

# ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

## „ოზურგეთის მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა



*აჭარის დედაქალაქში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა ქალაქ ოზურგეთის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ ფიფია.*

*იგი საკუთარი ავტომანქანით ქალაქ ბათუმის შესასვლელში ტრაქტორს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავთანდილ ფიფია ადგილზე გარდაიცვალა. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.*

*გაზეთი „ალიონი მწუხარებას გამოთქვამს ავთანდილ ფიფიას ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებული ოჯახს.*

## ანასეულში, აკადემიკოს ვალერიან ცანავას ბინიდან მძარცველებმა, სხვა ნივთებთან ერთად, ანტიკვარული თოფი გაიტანეს

*ალიონი: ანასეულში ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, აკადემიკოს ვალერიან ცანავას სახლი ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა 22 ნოემბერს, გვიან ღამით გაძარცვეს.*

*ისარგებლეს რა მისი ანასეულში არყოფნით (ამ დროს ბატონი ვალერიანი თბილისში კახა ბენდუქიძის დაკრძალვაზე იმყოფებოდა), ქურდებმა, მეზობლებისგან მალულად, სადარბაზოდან ბინაში მთავარი კარის კლიტის გატეხვით შეაღწიეს.*

*ამის შესახებ ჩვენს ვებგვერდზე მეორე დღესვე ვიუწყებოდით, თუმცა, მაშინ იმის გამო, რომ ბინის მეპატრონე ადგილზე არ იმყოფებოდა, ვერ შევძელით, გაგვეგო, რა ზარალი მიაყენეს მძარცველებმა მას.*

*გასულ შაბათს შესაძლებლობა მოგვეცა, ამ თემაზე მოკლედ გავსაუბრებოდით აკადემიკოსს, რომელიც გარდა იმისა, რომ დაზარალებულია თავს შეურაცხყოფილად გრძნობს:*

*„აბა, რა გითხრათ, რაც თვალში მოუვიდათ, თითქმის ყველაფერი წაიღეს. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ გატანილია ანტიკვარული თოფი, რომელიც სპეციალური შეკვეთით დაამზადეს მამაჩემისთვის. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი ნივთი, რაც შემორჩენილი მქონდა სოხუმის ოჯახიდან. მართალი გითხრათ, გარდა იმისა, რომ დავზარალდი, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებდი“, — გვითხრა ვალერიან ცანავამ.*

*ცნობისათვის: სოხუმი ვალერიან ცანავას მშობლიური ქალაქია. მსოფლიოში სახელდებული აგროქიმიკოსის, ბატონი მელქისედეკ ბზიავას აღზრდილი მეცნიერი, ამჟამად უკვე აკადემიკოსი, თითქმის ექვსი ათეული წელია ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ნაყოფიერად მოღვაწეობს.*

## გუბერნატორის გადადგომის მოტივები, ვინ მოიაზრება გუბერნატორის სავარძელში და რატომ არ შედგა გურიის გუბერნატორის შეხვედრა თამუნა შავაძესთან

**ალიონი.** ცენტრალური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ჩხაიძის წასვლა მისი ლობის, ეკონომიკური საბჭოს მდივნის, რომან ჩხენკელის გადადგომას უკავშირდება. ერთ-ერთ მოტივად ჩხაიძის მიერ 2012 წლის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობისათვის“ გადარიცხული თანხაც სახელდება, შიდა დაპირისპირების ვერსიას კი არ იზიარებენ.

გუბერნატორის გადადგომის პარალელურად, სწრაფად გავრცელდა ხმები გურიის გუბერნატორობის კანდიდატების შესახებ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატ დავით სიხარულიძის კანდიდატურაზე კარგა ხანია საუბრობენ.

ასევე საუბრობენ "ქართული ოცნების"კოორდინატორ გოჩა მეგრელიშვილის, გურიის სატყეო სამმართველოს ყოფილ უფროს ბესიკ ქარჩავას და ოზურგეთის მუნიციპალიტის გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ყველაშვილის კანდიდატურაზე.



**დავით სიხარულიძე:**-„არავინ შემხმიანებია ამ საკითხზე. არავისთან მქონია კონსულტაცია. ამიტომ ვერანაირად ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ."

**ალ. ყველაშვილი:**- „ეს ინფორმაცია არასწორია. მართალია, ადრე იყო შეთავაზება გუბერნატორის თანამდებობაზე,მაგრამ არ დავეთანხმე. ახლა ამ თემაზე არც სამთავრობო და არც სამეგობროდან არავინ დამკავშირებია. ამიტომ ვერაფერს დაგიდასტურებთ".

გასულ ხუთშაბათს გურიის გუბერნატორის პრესსამსახურის უფროსი ნინო ლომჯარია დაგვიკავშირდა და გვითხრა: ბატონი გიორგი ჩხაიძე შშმ პირის თამუნა შავაძის მონახულებას აპირებს მთისპირში. თქვენ ხშირად დადიხართ იქ, რომელ უბანში ცხოვრობს და როგორი გზა არისო.

ავუხსენი სიტუაცია, თუ როგორი გზა არის უკანავაში და ტელეფონით თამუნა შავაძეს დავუკავშირდით:-გუბერნატორი აპირებს შენს ნახვას-თქო. ძალიან გაუხარდა ეტლს მიჯაჭვულ გოგონას. რადგან საკმაოდ გვიანი იყო, ნინომ გვითხრა, რომ მომდევნო დღეს (ე.ი 5 დეკემბერს) გუბერნატორი აუცილებლად ავიდოდა უკანავაში. ჩვენ კვლავ დავუკავშირდით თამუნა შავაძის ოჯახს და ვუთხარით, რომ გიორგი ჩხაიძე მომდევნო დღეს მათი სტუმარი იქნებოდა.

მომდევნო დღეს გუბერნატორის პრესსამსახური 4 საათისთვის დაგვკავშირდა და თამუნას ნახვის ვადად 8-9 დეკემბერი დაგვისახელა. საღამოს სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია გიორგი ჩხაიძის შესაძლო გადადგომის შესახებ. პრესსამსახურს დავურეკეთ. მოგვიანებით შევძელით მასთან დაკავშირება.

-როგორც იცით, სოფ. მთისპირში ვაპირებდით წასვლას. დაახლოებით დღის ორი საათისთვის გუბერნატორი მოულოდნელად თბილისში წავიდა. წასვლისას მითხრა, რომ ორშაბათს წავალთ მთისპირში თამუნას სანახავადო. არ მაქვს ინფორმაცია მისი გადაწყვეტილების შესახებ, რადგან ვერ ვუკავშირდები—გვითხრა ნინო ლომჯარიამ.

## ქენია ტეფნაძე: როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლება „აცრილი“ აღმოჩნდა ჩემზე

### მერაბ წივწივაძე: შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური ფულადი და მატერიალური დახმარება აქვს გაწეული, ფაქტობრივად სახლი ამ დახმარებებით ააშენა

**ალიონი:** ქალაქ ოზურგეთში, ჩანჩიბაძის №2-ში მცხოვრები ეს 78 წლის ქალბატონი გაზეთ „ალიონისათვის“ უცხო სტუმარი ნამდვილად არ არის. ქენია ტეფნაძის ოჯახის სოციალური პრობლემა ადრეც რამდენჯერმე გაგვიშუქებია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ქალბატონი ქენია ამჯერად რედაქციაში გასული კვირის სამშაბათს ყავარჯნებით გვეწვია და თავისი ოჯახის გასაჭირის შესახებ კიდევ ერთხელ ჩაგვაყენა საქმის კურსში:

„51 წლის ციროზით ავადმყოფ ვაჟიშვილთან ერთად ვცხოვრობ ჩანჩიბაძის ქუჩაზე. სტიქიის შედეგად, დაგვენგრა საცხოვრებელი სახლი, ერთხანს მეზობელმა შეგვიფარა. შემდეგ ამავე ქუჩაზე ჩემი სახლიდან მესამე ეზოში ვიქირავეთ პირველი სართული, თვეში 30 ლარად და დღემდე იქ ვართ, მაგრამ სახლის პირველი სართული საცხოვრებლად უვარგისია, ეზოც წვიმაში მთლიანად იტბორება, მეორე სართულზე კი



გამქირავებელი არ გვიშვებს“...

„ალიონთან“ საუბარში ქალბატონმა ქენიამ გაიხსენა როგორ არ გააკარეს ყოფილ პრეზიდენტს:

„ყოფილი პრეზიდენტის ოზურგეთში ვიზიტისას დაცვამ არ გამაკარა სააკაშვილს. წამიყვანეს და ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე დამაგდეს, მეორედ კი — ჩოხატაურისკენ წამიყვანეს, გზაში ცუდად შევიქენი და უკან დამაბრუნეს, ჯიბეები მოიჩხრიკეს, ცოტაოდენი ფული წამომიგდეს და სახლში დამაბრუნეს. მოკლედ, როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლება „აცრილი“ აღმოჩნდა ჩემზე. გამგებლის ყოფილმა მოადგილემ სირაძემ საერთოდ არაფრად ჩამაგდო“...

მიუხედავად ამ საშინელი ისტორიისა, ქალბატონი ქენიას განცხადება, რომ როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლება „აცრილია“ მასზე, მთლად ლოგიკური არ ჩანს, რადგან მისივე ნაამბობიდან ცხადი ხდება, გარკვეული დახმარება ერთსაც გაუწევია და მეორესაც. სხვა საკითხია, რამდენად საკმარისია ეს დახმარება პრობლემის ბოლომდე გადასაჭრელად:

— „ჩვენი სახლის გასანახლებლად 2009 წელს ადგილობრივი ხელისუფლება დაგვეხმარა 21 ცალი თუნუქის სახურავით, 400 ცალი სამშენებლო ბლოკით, არმატურითა და 24 „პაჩკა“ ცემენტით. ყოველივე ამით და ჩვენი დანაზოგით შევძელით სახლის მხოლოდ სახურავში მოყვანა. შიდა სამუშაოებისათვის კი არანაირი სახსრები აღარ შემოგვრჩა. როგორც გითხარით, ნაქირავები ოთახი საცხოვრებლად უვარგისია და არ ვიცი, როგორ გავატანთ ამ ზამთარს. 64 წელია ოზურგეთში ვცხოვრობ და არ მახსოვს ერთხელაც რომ დამხმარებოდნენ შეშით“.

შემდგომ დახმარებებზე უარის მიღების შემდეგ, ადგილობრივ ხელისუფლებაზე განაწყენებულ ქალბატონ ქენიას საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის მიუმართავს. ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტს 6 ნოემბერს შესაბამისი წერილი განსახილველად გადმოუგზავნია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის:

„განმცხადებელი ქენია ტეფნაძე

▶▶▶ გვ-2

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8.12 | 9.12 | 10.12 | 11.12 | 12.12 | 13.12 | 14.12 |
| ღრუბელი, | მზე | წვიმა | წვიმა | ღრუბელი, | წვიმა | მზე, |
| +13+18 | +14+20 | +12+19 | +9+16 | +11+18 | +12+15 | +6+16 |

# ბოხვაურის საჯარო სკოლას გია გოგუაძის სახელი მიენიჭა

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოხვაურის საჯარო სკოლას, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის ბრძანების საფუძველზე, ამ სკოლის კურსდამთავრებულის, ავღანეთის სამშვიდობო მისიაში დაღუპულის, გია გოგუაძის სახელი მიენიჭა. ღონისძიებას გია გოგუაძის ოჯახის წევრებთან ერთად, სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის და მე-3 ქვეითი ბრიგადის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, ოზურგეთელი გია გოგუაძის თანამებრძოლებმა და მშობლიური სკოლის პედაგოგებმა პატივი მიაგეს ავღანეთში დაღუპული გმირის ხსოვნას და მისი საფლავი გვირგვინებით შეამკეს, ხოლო შემდეგ საბურველი ჩამოხსნეს სკოლის ფირნიშს.

—ეს იყო კიდევ ერთი აღიარება იმისა, რაც გია გოგუაძემ გააკეთა. მან შესწირა თავი თავისი ქვეყნის ინტერესებს საქართველოს ფარგლებს გარეთ - აღნიშნა მე-3 ბრიგადის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა.

## სკოლებს ზამთარში გათბობის პრობლემა არ ექნებათ

**ქეთი ბოლქვაძე.** ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ოზურგეთის სკოლებს ზამთარში გათბობის პრობლემა არ ექნებათ. ამის შესახებ „ალიონს" ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ლელა იმედაშვილმა უთხრა:

„როგორც სოფლის, ისე ქალაქის სკოლებში გათბობა მუდმივია, არც ერთი სკოლა არ არის გათბობის გარეშე. ქალაქის ყველა სკოლა თბება ბუნებრივი აირით, სოფლის სკოლები კი — შეშით, გამონაკლისია ურეკისა და ციხისფერდის სკოლები, სადაც თხევადი საწვავით თბებიან. შემოქმედისა და ლიხაურის სკოლებში მიმდინარეობს გაზის შეყვანა და მოკლე ხანში ბუნებრივი აირით გათბებიან".

სკოლებში გათბობის პრობლემის მოგვარება რამდენიმე სკოლის დირექტორმაც დაგვიდასტურა.

## „ხამსას მეწველი ძროხის ფასი ადევს"

**სალომე ცომაია.** დიდი ხანია არ არის, რაც ოზურგეთის ბაზარში სარეალიზაციოდ ხამსა (წვრილი თევზი) გამოჩნდა. სუნს რომ თავი დავანებოთ, ოზურგეთელები მისმა ფასმაც შეაწუხა და შეაშფოთა კიდეც.

„შარშან თუ მშრალი საქონლის ფასი ჰქონდა, ახლა უკვე მეწველი ძროხის ფასი აქვს", — გვითხრა ერთ-ერთმა ოზურგეთელმა, რომელმაც ვინაობის დასახელებისაგან თავი შეიკავა, — ისე, თქვენ ხამსას ფასი გაინტერესებენ, თუ ჩემი ვინაობა?! — შეგვიწყრა და მსხვილი თევზებისკენ გადაინაცვლა, — რა ღირს კეფალიო? — ესროლა გამყიდველს.

— 5 ლარი, აგიწონოთ? — სროლას სროლითვე უპასუხა გამყიდველმა.

— ა, კიდო! ა, რომ არ გჯერავენ. —

## ოზურგეთის სასკოლო რაიონული ჩემპიონატის ფინალი

**ალიონი.** დღეს, ინტელექტუალთა კავშირ „ერუდიტის" ორგანიზებით, ოზურგეთის სასკოლო რაიონული ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა გაიმართა.

ინტელექტუალურ თამაშებში 20 გუნდი მონაწილეობდა, შეხვედრები ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოზურგეთის პირველი და მეორე საჯარო სკოლის გუნდები.

ინტელექტუალური თამაშების ორგანიზატორისა და წამყვანის ავთანდილ სირბილაშვილის ინიციატივით, გამგებლის მოადგილემ ა. ყველაშვილმა გუნდების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა.

ინტელექტუალური ტურნირი ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლის გუნდის „ქვერესტის" გამარჯვებით დასრულდა.

# სოფ. ძიმითის ხიდი კვლავ საშიშროების ქვეშაა

**ალიონი.** მდინარე სუფსის მიერ ხეობის სოფლების კუთვნილი ათეულობით ჰექტარი საყანე ფართობის წართმევა მოსახლეობისათვის არახალია. ეს პრობლემა აწუხებთ ძიმითის, სილაურის, ჯუმათის, ბაილეთის, ნაგომრის, მთისპირის და სხვა სოფლების მოსახლეობას.

სოფ. ძიმითთან დამაკავშირებელ ხიდს, რომელიც იმავდროულად ოზურგეთს აკავშირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან, რამდენჯერმე მიადგა მდინარისაგან ზიანი. წლების მანძილზე სხვადასხვა გამაგრებითი სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ამჯერად კვლავ დაზიანდა ხიდის აღმოსავლეთი სამაგრი ნაგებობა.

როგორც შპს „გზამშენი 18"-ის მთავარმა ინჟინერმა ვახტანგ ჭანტურიამ გვითხრა, საჭიროა სპეციალისტების დასკვნა და შემდეგ სათანადო დაფინანსების გამოყოფა ხიდის ამ ნაწილის დამცავი ნაგებობის აღსადგენად, რადგან მიმდინარე პროცესები გაგრძელდება და ხიდს მომავალში საშიშროება შეექმნება.



# „პატრიოტთა „ალიანსის" აქცია ანასეულში



**ალიონი.** გასულ პარასკევს, ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში „პატრიოტთა ალიანსმა" მოთხოვნით "შესწავლილ იქნას ინსტიტუტის გასხვისების კანონიერება" აქცია გამართა, რომელსაც, ადგილობრივ მეცნიერ-მუშაკებთან ერთად, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძეც ესწრებოდა.

როგორც მეცნიერ-მუშაკებმა განაცხადეს, არაკანონიერადაა მომხდარი ინსტიტუტის გასხვისება, თანამშრომლები ძალისმიერი გზით გამოიყვანეს კაბინეტ-ლაბორატორიებიდან. არაერთხელ მივმართეთ ზემდგომ ორგანიზაციებს, მაგრამ უშედეგოდ. ვიცით, რომ ძიება მიდის, მაგრამ ძიების დამთავრებამდე თუ ყველაფერი დაინგრა, მერე რაღა დროსია?! ხომ შეიძლება მანამდე შევაჩეროთ ეს ბარბაროსული ნგრევა და ძარცვა.

აქციის მონაწილეებმა „აგრარული უნივერსიტეტისგან" ქონების გამოთხოვის, საკითხის ძირეულად შესწავლისა და გამოძიების საკითხები წამოაყენეს.

# პროექტი „ბუნებასთან ერთად"



**ალიონი.** გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის საგრანტო დაფინანსებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინასებით, სათემო კავშირმა „იმედმა" განახორციელა ეროზიის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები. პროექტი „ბუნებასთან ერთად," რომლის პრეზენტაციასაც დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

— ეს არის ძველი მეთოდი, რომლითაც რთული რელიეფის მქონე სოფლებში მეწყერული პროცესის შეჩერებაა შესაძლებელი. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების უმეტესობა მეწყერსაშიშ ზონაშია, ამიტომ მსგავსი პროექტების მხარდაჭერა ჩვენს ინტერესებშია და მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის. ეს იქნება პრევენციული ღონისძიება მცოცავი, მეწყერული ნიადაგების, ასევე ადიდებული მცირე მდინარეების ნაკადის შესაჩერებლად, - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

სათემო კავშირ „იმედის" ხელმძღვანელმა კობა ცერცვაძემ გაზეთ „ალიონთან"განმარტა, რომ საგრანტო თანხა 15 005 დოლარს შეადგენდა, რაც არასაკმარისი იყო პროექტის სრულყოფილად განსახორციელებლად, ამიტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს მივმართეთ. ყოფილმა გამგებელმა კონსტანტინე შარაშენიძემ სრული მზაობა გამოთქვა და 18 430 ათასი ლარი თანადაფინანსება გამოყო.

ეს პროექტი იმითაა საინტერესო, რომ ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები განხორციელებლად ტრადიციული სათავე ნაგებობის აღდგენა მოხდა ქვის გაბიონების მოწყობით, ეროზიული კერების შემოღობვითა და გატყევიანებით.

მანვე აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში მდ. ბოგილაზე წისქვილი აღდგება, სადაც მცირე ჰესი მოეწყობა, რომელიც სათემო კავშირის მიერ შეძენილი მილებით ეკოლოგიურად სუფთა წყაროს წყალს მიაწოდებს სკოლას, საბავშვო ბაღს.

# შეხვედრა პოეტთან

**ალიონი** 2014 წლის 3 დეკემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში პროექტის — „ ოჯახი და ტრადიციები სტუმარი, პოეტი და ჟურნალისტი, თემურ მარშანიშვილი იყო.

საღამოში მონაწილეობდნენ სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და საზოგადოების წარმომადგენლები.

მოსწავლეები კითხულობდნენ პოეტის ლექსებს, ჰქონდათ საინტერესო მუსიკალური ნომრები.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი მაია ნიკოლაიშვილი, გაზეთ „ალიონის"რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, სოფ. ბახვის საჯარო სკოლის დირექტორი მზია ვაშალომიძე,ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ლიკა ბაქანიძე, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე,მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის უფროსი კობა ბანძელაძე,საუბრობდნენ პოეტის მიერ განვლილ გზაზე, მოქალაქეობრივ პოზიციებზე, მის პოეზიასა პუბლიცისტურ ნამუშევრებზე.

პოეტი სიტყვაძუნწი იყო ამ დღეს, მაგრამ მის ლაკონურ პასუხებში სითბო და სიყვარული გამოსჭვიოდა იქ შეკრებილთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიმართ. შეხვედრის დასასრულს თემურ მარშანიშვილმა ახალი ლექსი წაიკითხა.



**ჩვენ გვწერენ**

# ჩემი პროტესტი საქართველოს მართლმსაჯულებას

**ალიონი** 75 წლის კაცმა უამრავი ქარტეხილი გამოვიარე. ვარ აფხაზეთის ომის მონაწილეც. მეამაყება, რომ ვიდექი იმ ბიჭების გვერდით, რომლებიც ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ.

მჯეროდა, რომ ჩემი საბრძოლო არჩევანი სწორი იყო. მაგრამ, როგორც საქართველოში ამასწინათ გაელვებულმა შემზარავმა ფაქტმა დამანახა, თურმე არ ვიყავი ვალდებული ქვეყნისათვის მებრძოლა (?!).

რა ხდება, ხალხოო???

ამიხსენით, რა დანაშაულისთვის მიუსაჯა 12 წელი ქართულმა სასამართლომ დღევანდელ ეროვნულ გმირს, დიახ, ეროვნულ, თანამედროვე გმირს, ბატონ ემზარ კვიციანს. ნუთუ გეპატიებათ ასეთი მიუტევებელი ცოდვა, რაც ჩაიდინეთ ქართველი ჯარისკაცისთვის სამაგალითო და მისაბაძი მებრძოლი ვაჟკაცის ციხეში გამომწყვდევით?! სირცხვილი თქვენი!

ის მაინც დაგენახათ, რომ ემზარ კვიციანი სააკაშვილისა და მისი ხროვის მოძალადე იყო. დაბნეული და გაოცებული ვარ, ნუთუ იმისთვის დავუდექი გვერდით „ქართულ ოცნებასა" და ბატონ ბიძინა ივანიშვილს, „ნაციონალების" წინააღმდეგ მებრძოლი კაცისათვის ბორკილები დაგედოთ?! ეს უკვე მეტისმეტია! სრულიად საქართველო არ გაპატიებთ ამ უგნურ საქციელს.

მე პირადად ვიცნობ ბატონ ემზარს და ვიცი, რომ ის ქვეყნისთვის მთლიანობისთვის მებრძოლი, დიდი პიროვნებაა, ჩვეულებრივი კი არა, არაჩვეულებრივი!

ვუერთდები უამრავ თანამემამულეს და, მათთან ერთად, კატეგორიულად მოვითხოვთ სასწრაფოდ გაათავისუფლოთ ბატონი ემზარი პატიმრობიდან!

**ჯემალ კეჟაყმაძე,**
აფხაზეთის ომის მონაწილე

# ჟენია ტეფნაძე: როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლება „აცრილი“ აღმოჩნდა ჩემზე

## მერაბ წივწივაძე: შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური ფულადი და მატერიალური დახმარება აქვს გაწეული, ფაქტობრივად სახლი ამ დახმარებებით ააშენა



ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში, სტიქიის შედეგად დაზიანებულ სახლში და ითხოვს შესაბამის დახმარებას.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული განცხადება მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინოთ დახმარება და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვის ვადაში აცნობონ კომიტეტს, ასევე განმცხადებელს“.

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ანალოგიური შინაარსის წერილი გადმოუგზავნია დევნილთა და განსახლების სამინისტროსაც.

ჟენია ტეფნაძის ნაამბობითა და ხსენებული უწყებების წერილების ასლებით გასულ პარასკევს შევხვდით ქალაქ ოზურგეთის მერს, ბატონ ბეგლარ სიორიძეს:

„ორივე წერილი მივიღეთ და საქმის ბოლომდე შესწავლის შემდეგ, ორი თუ სამი დღის წინათ პასუხი ვაცნობეთ როგორ უწყებებს, ისე განმცხადებელს. ისე, ქალბატონი ჟენია ნამდვილად არ უნდა იყოს ჩვენზე განაწყენებული, რადგან შესაძლებლობის ფარგლებში ყველანაირად გვერდში დავუდექით. ცნობისათვის, ქალბატონი ჟენიას მსგავს და შესაძლებელია უარეს პირობებში 130 მეტი ოჯახია, რომელთა პრობლემები ერთი ხელის დაკვრით არ გადაიჭრება“.

ჟენია ტეფნაძის საკითხზე უფრო კონკრეტული პასუხის მისაღებად ქალაქის მერმა გვირჩია, შევხვედროდით ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელს მერაბ წივწივაძეს:

„ტეფნაძის ოჯახს არც ძველი და არც ახალი ხელისუფლებიდან ყურადღება და შესაძლებელი დახმარება არ დაჰკლებია. თუ გნებავთ, ერთად გადავხედოთ შესაბამის დოკუმენტაციას. შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური ფულადი და მატერიალური დახმარება აქვს გაწეული, ფაქტობრივად სახლი ამ დახმარებებით ააშენა. სახლის მთლიანად გამოწყობას კი ვერავის შევპირდებით და ვერც შევძლებთ, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტი არ იძლევა ამის საშუალებას, ინფრატრუქტურის სამინისტროდან გამოყოფილი თანხები კი ძირითადად საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწყობას ხმარდება. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ მადლობელი თუ არაა, უმადური ნამდვილად არ უნდა იყოს. თუ რომელიმე საჯარო მოხელეზე დაბოღმილია, ამ ბოღმას ჩვენზე ნუ გადმოანთხევს. უარით არასოდეს გაგვისტუმრებია. მისი დახმარების შესაძლებლობის საკითხი განხილული იქნება 2015 წლის პროგრამების განხორციელების ფარგლებში. ეს უკვე წერილობით ვაცნობეთ როგორც პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ კომიტეტს, ისე დევნილთა და განსახლების სამინისტროს, საქმის კურსშია თვითონ ქალბატონი ჟენიაც“.

# საზოგადოებრივი მომსახურებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის შედეგები

## ელექტროენერგიის გარდა, გურიაში მოსახლეობას არც ერთი სხვა სერვისი სრულყოფილად არ მიეწოდება

საზოგადოებრივი მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევამ აჩვენა, რომ, გარდა ელექტროენერგიისა, გურიაში მოსახლეობას არც ერთი სხვა სერვისი სრულყოფილად არ მიეწოდება.

ამის შესახებ ოზურგეთში, 3 დეკემბერს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ საკონფერენციო დარბაზში ვისითის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით, კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე განაცხადეს.

გურიაში გამოკითხული 300 რესპოდენტის აზრით, ელექტროენერგია ხელმისაწვდომია 97%-ისათვის, მთლიანად საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი 94 პროცენტია; პროფესიული სასწავლებლები: გურიაში 36%-ისათვის, მთლიანად საქართველოში – 31%-ისათვის; საბავშვო ბაღები: გურიაში – 72%-ისათვის, საქართველოში – 77%-ისათვის; საშუალო სკოლები: გურიაში – 88%-ისათვის, საქართველოში – 95%-ისათვის; ჯანდაცვის სერვისები: გურიაში – 35-42 -ისათვის, საქართველოში – 40-50%-ისათვის; უსაფრთხოების სერვისები: გურიაში – 83-93%-ისათვის, საქართველოში – 67-78%-ისათვის; საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: გურიაში – 16-33%-ისათვის, საქართველოში – 42-47%-ისათვის.

სხვა საზოგადოებრივი სერვისები – სოციალური დახმარება. საქართველოში ოჯახები ძირითადად ასაკობრივი პენსიით (40%) და სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით (38%) სარგებლობენ. ამ მომსახურების მიღების პროცედურებს კი ძირითადად აფასებენ, როგორც მარტივს (100%). გურიაში სიტუაცია ანალოგიურია, გამოკითხულების ნახევარი სარგებლობს ამ ორი სერვისით და უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათი მიღების პროცედურები მარტივია.

სხვა საზოგადოებრივი სერვისები – რეკრეაცია, დასვენება, კულტურა. საქართველოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტულია სპორტული მოედნები (52%) და საჯარო პარკები (48%), სოფლის მოსახლეობისათვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურის სახლებიც (59%). გურიაში, პრიორიტეტულობის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე ბიბლიოთეკების გამართული მუშაობა დგას (48%).

სხვა საზოგადოებრივი სერვისები – ტურიზმი. ტურიზმის განვითარებაზე საკუთარ რეგიონში გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 29% საუბრობს. ყველაზე მაღალი ტურისტული ნაკადი ზაფხულში შეინიშნება. გურიაში გამოკითხულების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არ მიიჩნევს ტურიზმს აქტუალურად მათი რაიონებისათვის.

იურიდიული სერვისები. საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 16% აცხადებს, რომ მათ რაიონში ხელმისაწვდომია უფასო იურიდიული დახმარება. თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ უსარგებლია ამ მომსახურებით.

გურიაში გამოკითხულების მხოლოდ 14% აცხადებს, რომ უფასო იურიდიული მომსახურება მათ რაიონებში ხელმისაწვდომია.

ელექტრონული სერვისები. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ელექტრონული სერვისების არსებობასთან დაკავშირებით. გურიაში გამოკითხულების მხოლოდ 15%-ს სმენია ელექტრონული სერვისების შესახებ.

ეკოლოგია. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჰაერის და ნიადაგის დაბინძურებას



არ აღიქვამს, როგორც პრობლემას საკუთარ დასახლებაში. გურიაში მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ ჰაერი და ნიადაგი მათ დასახლებებში დაბინძურებულია.

ადგილობრივი თვითმმართველობები – კმაყოფილება და ნდობა. ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობით საქართველოში კმაყოფილია მოსახლეობის 51%, გურიაში – 61%. ადგილობრივ ხელისუფლებას ნდობას უცხადებს საქართველოში 52%, გურიაში – 63 პროცენტი.

მოსახლეობის სოციალური აქტივობა. საქართველოში მოსახლეობის 87%-ს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონია სოციალური აქტივობის მცდელობა.

დასახლების/სამეზობლოს პრობლემების გადაწყვეტაში გურიაში მოსახლეობის 7% მონაწილეობდა, საქართველოში – 8%; პოლიტიკურ ან საგანმანათლებლო საკითხებზე გამართულ შეხვედრებში გურიაში – 0% საქართველოში – 3%; მთავრობის წარმომადგენლებისათვის პირად ან წერილობით მიმართვაში გურიაში – 5%, საქართველოში – 3%.

როგორც პრეზენტაციაზე წარმოდგენილ ვისითის რეზიუმეშია აღნიშნული, საზოგადოებრივი მომსახურებების თვალსაზრისით, გურიაში საყურადღებოა შემდეგი მომსახურებები და ინფრასტრუქტურა:

კომუნალური ინფრასტრუქტურა, რადგან მიწოდების თვალსაზრისით მოსახლეობის უმეტესობას მხოლოდ ელექტროენერგია მიეწოდება;

არსებული ინფრასტრუქტურა არ აკმაყოფილებს გურიის მოსახლეობის დიდ ნაწილს. ავტომაგისტრალების გარდა, შიდა და გარე გზები, საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, გარე განათება, სახლების ნუმერაცია, ყველა ეს ინფრასტრუქტურა საჭიროებს მიხედვას;

გურიის მოსახლეობის ნახევარი ჰაერს და ნიადაგს დაბინძურებულად მიიჩნევს თავიანთ დასახლებებში.

გურიის მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობა ზოგადად ძალიან დაბალია.

# მთისპირელები წყლის მრიცხველების დადგმას აპროტესტებენ

**ალიონი** გასულ შაბათს, 21 საათზე , სოფ. მთისპირში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ყველაშვილი სოფ. მთისპირის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრის მიზეზი წყლის მრიცხველების დადგმა იყო. ამ თემაზე ნოემბრის შუა რიცხვებში მთისპირელები შეხვდნენ გურიის ყოფილ გუბერნატორ გიორგი ჩხაიძეს, გამგებელ მერაბ ჭანუყვაძეს და სხვებს. მოსახლეობა ითხოვდა, რომ ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ტექნიკური წყლის რესურსი, რაც ზაფხულობით სჭირდებათ ბოსტნების მოსარწყავად, დამტკიცებულიყო ფიქსირებული გადასახადი ან მათთვის დაეტოვებია სოფლის მოსახლეობის მიერ გაყვანილი წყლის მაგისტრალი და ახალი მაგისტრალი გაეყვანათ.

ამჟამად წყალსადენის მშენებელმა კომპანიამ მოსახლეობაში წყლის შეყვანა და მრიცხველების დადგმა დაიწყო, რასაც მოსახლეობიდან კვლავ პროტესტი მოჰყვა.

ქეთევან ჯინჭარაძე, მთისპირის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული: – მოსახლეობის ნაწილი კვლავ გამრიცხველიანების წინააღმდეგია. არადა, თუ ახლა უარს იტყვიან, შემდეგ საკუთარი ხარჯებით მოუწევთ წყლის მილის შეყვანაც და მრიცხველის დადგმაც. ჯერჯერობით ამ პოზიციაზე არიან.

ალექსანდრე ყველაშვილი:- ხელისუფლებამ 1 200 000 ლარი გაიღო ამ პროექტის განსახორციელებლად. საქლორატორო, რომელიც მთისპირში კეთდება, უნიკალურია და მეორეა საქართველოში. მთისპირელები, ასკანელები, მშვიდობაურელები მიიღებენ საუკეთესო ხარისხის წყალს. თუ წყალზე ფიქსირებული გადასახადი დაწესდება და არ იქნება მოსახლეობის მიერ წყლის ხარჯვის კონტროლი, ასკანელები და მშვიდობაურელები წყალს ვერ მიიღებენ. თანაც, საფილტრი მოწყობილობა ადრე გამოვა მწყობრიდან. გასათვალისწინებელია ისიც, მშენებელმა კომპანიამ დროულად უნდა დაასრულოს პროექტი, რომ საჯარიმო სანქციები არ დააკისრონ. დარწმუნებული ვარ, წყლის მარეგულირებელი კომისია მთისპირის მოსახლეობისათვის წყლის გადასახადში შეღავათებს გაითვალისწინებს. ბუნებრივია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტიც ჩაერთვება ამ პროცესში.

# გურიის რეგიონში ახალგაზრდა კონსერვატორთა პირველადი ორგანიზაციები დაფუძნდა



*ალიონი. – არც ერთ ახალგაზრდულ ორგანიზაციას არ აქვს ისეთი მხარდაჭერა პარტიისგან, როგორც ჩვენს ახალგაზრდულ ორგანიზაციას – აღინიშნა ახალგაზრდა კონსერვატორთა მიერ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართულ შეხვედრაზე.*

*პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ალექსანდრე გოგუაძე და ნუცა ბიბილაშვილი ოზურგეთელ, ლანჩხუთელ და ჩოხატაურელ ახალგაზრდებს მათი პარტიის მიზნებს, ამოცანებსა და იმ პრიორიტეტულ საკითხებზე ესაუბრნენ, რაც მათი პარტიის წინაშე დგას. შეხვედრაზე ოზურგეთის ახალგაზრდა კონსერვატორთა ხელმძღვანელად საბა ბურჭულაძე აირჩიეს, ჩოხატაურში სალომე ცინცაძე. ლანჩხუთში - ცირა კალანდაძე. აირჩიეს ასევე პარტიის ახალგაზრდულო ორგანიზაციის ყრილობის დელეგატები.*

# ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ორკვირეული

*ალიონი. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა დისკუსია თემაზე „რატომ ვერ ტოვებს მსხვერპლი მოძალადეს“. ნაჩვენები იქნა ფილმი, სადაც ცნობილი ამერიკელი მწერალი და ადვოკატი ოჯახური ძალადობის საქმეში ლესლი მორგან სტეიკერი საკუთარი ცხოვრების იმ ეპიზოდებზე საუბრობს, როცა თავად იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. ნაჩვენები იქნა ასევე ფორუმ თეატრი. რეჟისორი და სცენარის ავტორი ავთანდილ სირბილაშვილი გახლდათ. მონაწილეობდნენ ოზურგეთის თეატრის მსახიობები და მოხალისე ახალგაზრდები. ფორუმ თეატრი შექმნილია ოზურგეთის აგრობიზნესცენტრის მიერ განხორციელებული პროექტით (ხელმძღვანელი თამარ ხომერიკი). ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.*

# შპს "მანსაროვმა" ტყვიის გადამდნობი კუსტარული დანადგარი დაშალა

*ალიონი. ამის შესახებ ადგილობრივმა მცხოვრებმა გვაცნობა. ინდურმა კომპანიამ, მას შემდეგ, რაც ქ. ოზურგეთის ყაზბეგის ქუჩის მოსახლეობის პროტესტის გამო, რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა გაზეთ "ალიონში", ინდურმა კომპანიამ ტყვიის გადამდნობი დანადგარი დაშალა.*

*თუმცა, შპს "მანსაროვი" და " ჯეოგადამამუშავებელი კვლავ განაგრძობენ ამორტიზებული აკუმულატორების მიღებას.*

## იუბილე

# „დაე იცოდნენ, ჩვენ საქართველოს ისევ სჭირდება თქვენისთანები“



რამდენიმე ათეული წელი ცხემლისხიდის საჯარო სკოლაში იღვწოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ამჟამად პენსიონერი, ქალბატონი **ნინა დონდოლაძე.**

ჩვენო ძვირფასო ნინა მასწავლებელო, გვინდა კიდევ ერთხელ მოგეფეროთ იმ ამაგისათვის, რაც თქვენ დასდეთ ქართული ენის სწავლებას. თქვენი და თქვენისთანების დამსახურებაა ქართული სკოლის წარმატება და აღიარება.

რამდენიმე ათეული წელი მადლიანი ქართულით აპურებდით თაობებს, ბევრი წარმატებული და სასახელო ადამიანი აღიზარდა თქვენს კალთაში.

მოგონებებში ჩაძირულს, ალბათ, რამდენჯერ ჩაგესმათ სკოლის ზარის წკრიალი და ქართული ენის გაკვეთილები, რომელსაც მთელი ცხოვრება მიუძღვენით.

წელს საიუბილეო წელი გქონდათ. სულითა და გულით გილოცავთ, ძვირფასო მასწავლებელო, აღმზრდელო, კოლეგავ და მისაბაძო ქალბატონო. ჯანის სიმრთელესა და დღეგრძელობას გისურვებთ, მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე!

**ცხემლისხიდის საჯარო სკოლის პედაგოგები, სკმთკ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია**

## „მერცხალმა“ სეზონი სარეკორდო ანგარიშით წაგებით „დააგვირგვინა“

**ალიონი.** ოზურგეთის „მერცხალმა“ მართალია მთავარი მწვრთნელის, ხარიტონ ჩხატარაშვილის გადადგომის შემდეგ, შინ გათამაშების ცხრილში მე-5 საფეხურზე მყოფი „გაგრა“ დაამარცხა (1:0), მაგრამ ბოლო ტურის მატჩში, ქედაში „რეკორდი“ „მოხსნა“ და 0:8 დამარცხდა. მანამდე წლის წაგების რეკორდი ტყიბულში დაფიქსირდა, სადაც ოზურგეთლები 1:7 დამარცხდნენ (ტყიბულთან შინ რევანში ნაწილობრივ აიღეს და 5:1 მოუგეს).

პირველ სამეულში თერჯოლის „საპოვნელა,“ თბილისის „დინამო-2,“ „ბორჯომი“არიან. ქედის „ბეთლემს“, რომელიც კარგა ხანს გათამაშების ლიდერი იყო, ამჟამად 28 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-4 საფეხურზე რჩება.

რაც შეეხება „მერცხალს“, მას გათამაშების პირველი ეტაპის შემდეგ, შარშანდელთან შედარებით უკეთესი შედეგი აქვს, მაგრამ 19 ქულით აუტსაიდერთა ჯგუფში იმყოფება.

## ავტორალი ოზურგეთში

გასულ შაბათს ქალაქ ოზურგეთში რკინიგზის ვაგზლის ტერიტორიაზე ხალხმრავლობა ადგილობრივებს ჯერ პოლიტიკური აქცია ეგონათ, როცა გაიგეს, რომ ავტორალი ტარდებოდა გაიხარეს და გაილაღეს კიდეც.

ავტოკლუბ „გურიას“ პრეზიდენტ ზაზა ჩხატარაშვილისა და ვიცეპრეზიდენტ ბიძინა გობრონიძის თქმით, ეს იყო ავტორალში საქართველოს ჩემპიონატის დახურვა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სენაკის, ფოთის, ბათუმის, ზესტაფონის და სხვა ქალაქებისა და რაიონების პროფესიონალი მძღოლები. ავტორალი, რომელსაც უამრავი ოზურგეთელი დაესწრო დინამიკურად წარიმართა. გამარჯვებული მძღოლები დაჯილდოვდნენ თასებითა და სიგელებით.

# ფირალი სისონა დარჩია

**ენვერ გოგუაძე**

**დასაწყისი იხ. ალიონი №46 47, 2014 წ.**



სისონას გუნდიც მისებრ თავზეხელაღებული გავარდნილებისაგან შედგებოდა. თითქმის მთელ გურიაში ყოველი გურიელის ოჯახში, ვინც კი „ჯაშუშობაში“ არ იყო შემჩნეული და ადმინისტრაციაში არ მსახურობდა, „ორმაგი“ სადილ-ვახშამი მზადდებოდა: ერთი ნაწილი ოჯახის წევრებს განეკუთვნებოდა, მეორე ნაწილი სისონასა და მის თანაგუნდელებს. არავინ უწყოდა, როდის ან რა დროზე გამოჩნდებოდა „ფირალად მოთარეშე დარჩია“, მისი დაუპატიჟებელი სტუმრობა და შესაბამისი გამასპინძლობა ერთობ და იმავე დროს უნდა აღსრულებულიყო. ქორული მზერა ჰქონდა, მხედველობის არედან არაფერი გამორჩებოდა. ერთნაირად არჩევდა დღისით თუ კუნაპეტ ღამეში მზირალ ჩამსხდარ სტრაჟნიკებს, საოცარი ალღოთი და გუმანით ამოიცნობდა მოღალატეს. უცდური გეშის აღება იცოდა. ამან იხსნა მრავალგზის. მემამულე და აზნაური, თავადი და მღვდელი, ვაჭარი და „სტრაჟა“ ეჯავრებოდა განსაკუთრებით. ღვთისმსახურ წინაპართა-დეკანოზ დარჩიათა სიწმინდის ემბაზით მირონცხებული სისხლი ჩქეფდა მის ძარღვებში, მაგრამ რატომღაც, ვითარცა ირონია ბედის, სწორედ ამ ღვთის მსახურთა ჯავრი სჭირდა სვეგამწყრალს.

მამა — სესიკა დარჩია და მისი (სისონას) ძმაი ვასილაც - ისიც ფირალი ბუნებით, ამგვარი ხასიათით გამოირჩეოდნენ. დედა — აზნაურ ტუსკიას ქალი იყო, სულკურთხეული მღვდელთმსახურის — დიდი გაბრიელ ტუსკიას ჩამომავალი, მაგრამ არც მისი სისხლი და არც დეკანოზ დარჩიათა სისხლი, სამწუხაროდ, არ შერთვია სესიკა, სისონა და ვასილა დარჩიების „ბუნტარულ“ და ამბოხ ყოფილ სისხლს. მღვდლები, სულიერი მამანი“ მის გახსენებაზე პირჯვარს გადაიწერდნენ და ეშმაკს მიაფურთხებდნენ.

სისონასა და ვასილას გაფირალება „საეკლესიო ინციდენტით“ დაიწყო, რაც მანამდე გაუგონარ მოვლენად ითვლებოდა გურიის ეკლესია-მონასტრების ღვთისადმი კრძალვითა და რუდუნებით აღსავსე ცხოვრებაში.

1886 წლის 1 იანვარი იდგა, ყველა გურულისათვის ბედნიერი კალანდა დღე. დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიაზე უამრავი ხალხი შეკრებილიყო. დიდი თუ პატარა, ერი თუ ბერი, გლეხი თუ მემამულე, თავადი თუ აზნაური „ბედნიერი კალანდის“ დადგომას ულოცავდნენ ერთმანეთს. ყველანი მხიარულ გუნება-განწყობილებაზე იყვნენ. ამ საერთო ბედნიერების ფერხულში „კერძო ნიადაგზე“ ურთიერთქიშპობაში მყოფი მეზობლების - სესიკა დარჩიასა და გიგო ჩხარტიშვილის ქალბატონიც იღებდა მონაწილეობას. როგორც გურულთა ეთნოგრაფიული ყოფის სწორუპოვარი მცოდნე, აპოლონ წულაძე გადმოგვცემს, — კალანდა უპირველეს დღესასწაულად ითვლებოდა მთელ გურიაში. „ძველად გურული ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კალანდას რასაც დაიბედებდა, რასაც კი მოისურვებდა, იმითი მთელ წელიწადს, მეორე კალანდამდე უზრუნველყოფილი იქნებოდა. მთელი დღე სურვილ-ნატვრად იყო გადაქცეული და ეს (სურვილ-ნატვრა) გრძელდებოდა 6 დღე მაინც, ვიდრე ნათლისღებამდი“.

„მოქიშპე მეზობელი“ - გიგო ჩხარტიშვილი პირველი მიუახლოვდა დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიაში სესიკა დარჩიას და ბედნიერი კალანდა მიულოცა. ჩხარტიშვილის მილოცვის საპასუხოდ „დეკანოზის შთამომავალმა“ სესიკა დარჩიამ ხანჯალი გააძრო და შიგ ეკლესიაში მკერდამდე ჩასცა გაოგნებულ გიგო ჩხარტიშვილს. დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველი სისხლით შეიღება. მომლოცველთაგან კრინტს ვერავინ ძრავდა. გაოგნებული ხუცესი ხელაპყრობილი დედა ღვთისმშობელს ევედრებოდა შველას. ამ სისხლიანი აქტით სესიკა დარჩიამ და მისმა ქედფიცხელმა შვილებმა - სისონამ და ვასილამ სათავე დაუდეს გურიაში ეკლესია-მონასტრების იავარყოფას, ძარცვასა და აბუჩად აგდებას. მხოლოდ „ახალი თაობის“ ერთგული ფირალი და მაუზერისტი —კიკია მამულაიშვილი თუ შეედრებოდა ამ მხრივ. როცა 1910 წელს, დვაბზუს წმინდა გიორგის ეკლესიაში მან ცალ ხელში აელვარებული მაუზერით სასიკვდილოდ დასჭრა საკურთხეველთან მლოცვარე მღვდელი იონა ღლონტი და ფირალად „განილტო“. ხანჯალმომარჯვებულ სესიკას შვილები სისონა და ვასილა დარჩია წამოეშველნენ. სიკვდილის პირას მისულს გიგო ჩხარტიშვილს ეკლესიიდან გამოუღწევია. მამაშვილნი დარჩიები სულთმობრძავს გამოსდგომიან. მეტადრე სისონას უმარჯვია და ლევერველმომარჯვებული წინ გადასდგომია შესაბრალის გოგიას, თავის მამის მუქარის აღსასრულებლად იარაღი დაუხლია მკერდში ხანჯალჩაცემულისათვის. გოგიას სისონას ნასროლი ასცდენია და მისი რევოლვერიდან გასროლილი ტყვია პირდაპირ საკუთარი მამისათვის - სესიკა დარჩიასათვის მოუხვედრებია მკერდში. ჩხარტიშვილისათვის ავისმდომელ სესიკას (სული იქვე განუტევებია) სასიკვდილო ჭრილობა მიუღია. ახლა მომაკვდავ ჩხარტიშვილს წამოეშველენ მისიანები. დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიის ეზო სასაკლაოდ იქცა. - „ჩხარტიშვილის მხრით სამი კაცი დაიჭრა, დარჩიას მხრით — ექვსი“. ძმები დარჩიები ფირალად გაიჭრნენ. არავითარი სოციალური მიზეზი და მოტივი სისონას გაფირალებას არ ედო საფუძვლად. ამბოხმა სისხლმა და ხელმა მკვლელი და ყაჩაღი წარმოშვა. სისონამ ყაჩაღობა დაიწყო. ექვსი წელი გრძელდებოდა მისი ფირალობა. „საგმირო საქმეებს“ საძრახო საქმეებიც ზედ ერთვოდა. საშინელი სიკვდილით მოკვდა. „ქალის ავადმყოფობა" დაედო საფუძვლად მის გარდაცვალებას. ამგვარი დაავადებით გურიაში სისონაზე ადრე კაცი არ მომკვდარა.

**გაგრძელება იქნება.**

# ხვალ, 9 დეკემბერს გურიის მე-19 საჭადრაკო ჩემპიონატი იწყება

ჭადრაკში გურიის ჩემპიონატების ჩატარებას გურიის რეგიონული ფედერაციის დაფუძნებიდან 1995 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. 18 ჩემპიონატიდან, 12-ს ოზურგეთმა უმასპინძლა, 5-ს — ლანჩხუთმა, და 1-ს — ჩოხატაურმა. სხვადასხვა წლებში ჩემპიონის ტიტულს სულ 10 მოჭადრაკე ფლობდა.: ლანჩხუთიდან — ქრისტინე მჟავია, -ნუგზარ გვარჯალაძე — 3-ჯერ, რუსუდან ჭკუასელი — 3-ჯერ და ტარიელ ხუხუნაიშვილი — 2-ჯერ; ჩოხატაურელები 3-ჯერ ფლობდნენ ჩემპიონის ტიტულს — ამირან ბერძენიშვილი და გივი ქორიძე 2-ჯერ; ოზურგეთელებიდან რეგიონის ჩემპიონი პირველად თორნიკე ხვედელიძე გახდა (2 წლის წინათ ავტოკატასტროფაში დაიღუპა). მინდია ჩხიკვიშვილმა 14 წლის ასაკში მოიპოვა გურიის ჩემპიონობა (რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ისევ დაუბრუნდა ჭადრაკს). დათო ცეცხლაძე კი გურიის მოქმედი ჩემპიონია.. როგორც გურიის ჩემპიონატის ორგანიზატორმა ზურაბ ანდღულაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, წელს ჩემპიონატში 12 მონაწილე იქნება, ანუ რეგიონის თითოეული ტერიტორიული ერთეულიდან 3-3 მოჭადრაკე, რომლებმაც ადგილობრივ ჩემპიონატებში მიღწეული შედეგებით მოიპოვეს ეს უფლება. თუ შარშან ქალაქის ჩემპიონატი ოზურგეთის მუნიციპალური პირველობის შესარჩევ ტურნირს (ანუ დაბალ ეტაპს) წარმოადგენდა, წელს იგი დამოუკიდებელი ჩემპიონატი გახდა და გურიის პირველობაზე თავისი სამი საუკეთესო მოჭადრაკითაა წარმოდგენილი.

წლეულს ჩატარებული მუნიციპალური ჩემპიონატების შედეგებით, გურიის ჩემპიონატის 12 მონაწილეს შორის მოხვდნენ ; ქ. ოზურგეთიდან — მინდია ჩხიკვიშვილი, გიორგი გოგოლაური და დათო ცეცხლაძე; ლანჩხუთიდან — ნუგზარ გვარჯალაძე, ტარიელ ხუხუნაიშვილი და როლანდ ჩხაიძე, ჩოხატაურიდან — გივი ქორიძე, კარლო ცხომელიძე და ზურაბ კობიძე; ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან - აკაკი გოგუა, მიშიკო ქურიძე და თორნიკე მახარაძე;

როგორც ფედერაციიდან გვაცნობეს, ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მქონე დათო ცეცხლაძე გერმანიაში ყოფნის გამო, შეჯიბრებას გამოაკლდა. მისი ადგილის დასაკავებლად დაინიშნა მატჩი ოზურგეთის ჩემპიონატში მე-4 და მე-5 ადგილებზე გასულ დავით კილურაძესა და გივი სიამაშვილს შორის (სხვათა შორის, ისინი ოზურგეთის ექსჩემპიონებია). მატჩი ორი 1,5-საათიანი პარტიისაგან შედგა, რომელიც 1:1 დამთავრდა, ხოლო დამატებით 15-წუთიან პარტიებში გივი სიამაშვილმა იმარჯვა 1,5:0,5 და გურიის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მას ერგო.

ზურაბ ანდღულაძის თქმით, ოზურგეთელთათვის ყველაზე სასიხარულო და საინტერესო ის არის, რომ ჩემპიონატში ორი სასკოლო ასაკის მონაწილეა: მე-2 საჯარო სკოლელი 11 წლის თორნიკე მახარაძე და 13 წლის მიშიკო ქურიძე (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე).

## მოსაგონარი

# ელეონორა გოგიტიძე

40 წელი შეალია საყვარელ საქმეს. ბევრჯერ აუშრიალა „დედაენას“ ფურცლები და პატარებს ცოდნის სამყაროში შეუძღვა. ბოლო წლები ვაჟკაცურად ებრძოდა მოძალებულ ავადმყოფობას. ბავშვების მოელვარე თვალები და მეგობრების თანადგომა ყველაფერს ავიწყებდა..

ელეონორა მამიას ასული გოგიტიძე 1951 წელს დაიბადა. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა წვერმაღალას დაწყებითი სკოლის გამგედ დაიწყო.

ზაურ ტულუშთან ერთად, ულამაზესი ოჯახი შექმნა. შეჰხაროდა შვილებს კახას და ეკას. შვილიშვილებისა და აღზრდილების წარმატებით ამაყობდა.

ცისფერ თვალთაგან გადმოღვრილი შუქით ყველას გულს უთბობდა. გულისხმიერი ადამიანი იყო, მაგრამ ერთი ადამიანის გულმა ამდენი სიყვარული, დარდი და ტკივილი ველარ დაიტია, წავიდა და მარადისობას შეერია.

ღმერთმა სიმშვიდე და ნათელი დაუმკვიდროს მის სულს.



*კოლეგები:* ***ქეთევან ქადიეშვილი, მზევინარ და ლეილა დვალიშვილები;***

***საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია***

*ქალბატონი ელეონორა გოგიტიძის დაკრძალვა შედგება 9 დეკემბერს „მოიდანახეს“ სასაფლაოზე, გამოსვენება წვერმაღალადან.*

## სამგლოვიარო განცხადებები

გაზეთი „ალიონი“ თანაუგრძნობს ავთანდილ დევიძეს შვილის **ნიკოლოზ დევიძის** გარდაცვალების გამო

ქ. ოზურგეთის მერია მწუხარებას გამოთქვამს ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელის **ავთანდილ ფიფიას** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებას გამოთქვამს **ავთანდილ ფიფიას** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს **ავთანდილ ფიფიას** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ოზურგეთის საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელის **ავთანდილ ფიფიას** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა თანაუბრძნობს თანამშრომელს იულონ საჯაიას მამის **შალვა საჯაიას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე